სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

13 მაისი 2025

N 21/4444

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს

თქვენი 2025 წლის 24 აპრილის №03/416 წერილის პასუხად, რომლითაც სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოდგენილია თიანეთის მუნიციპალიტეტის ჩეკურაანთგორის, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფელის, ღულელების, ნაქალაქარის, დაბა სიონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარების გეგმის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში (შემდგომ - სგშ), გაცნობებთ, რომ ანგარიშში არ არის ასახული და გათვალისწინებული სგშ-ს სკოპინგის დასკვნის მოთხოვნები, კერძოდ:

1. სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ლანდშაფტის ტერიტორიების შესახებ, მათ შორის: ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები (რელიეფი, კლიმატი, ჰიდროლოგია, მცენარეული საფარი, ლანდშაფტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურა); ლანდშაფტის თანამედროვე მდგომარეობა; ზემოქმედების ფორმები და მასშტაბები; მდგრადობა; სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია; ტერიტორიის კულტურული და ისტორიული მახასიათებლები; ლანდშაფტის ფრაგმენტაცია და ლანდშაფტის სხვა სახის დარღვევები; ცვლილების ძირითადი მამოძრავებელი ძალა; მოსალოდნელი განაშენიანება შემოთავაზებული სივრცის/ ქალაქთმშენებლობითი გეგმის გამოყენების გარეშე; გამიჯნული ლანდშაფტების სქემა (ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ტერიტორიები); ლანდშაფტის მახასიათებლების შედგენა გეოლოგიურ საფრთხეებთან ან სხვა ბუნებრივ ან/და ადამიანის მიერ წარმოქმნილ სტრესორებთან მიმართებით.

2. სგშ-ის ანგარიშში არ არის ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მართვის საკითხებზე.

3. წარმოდგენილ Shp-ფაილებში ასახული უნდა იყოს მხოლოდ გეგმარებით არეალში მოქცეული სივრცითი მონაცემები.

სგშ-ის ანგარიშს, ერთიანი ცხრილის სახით, უნდა დაერთოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ.

დამატებით, მიზანშეწონილია, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია, კონცეფციით გათვალისწინებულ ხედვებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, შპს "საქართველოს მელიორაციასთან" და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან კონსულტაციების შედეგების შესახებ და ინფორმაცია აღნიშნულ საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ (თარიღები, განხილული საკითხები, სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნები, მათი გათვალისწინების მდგომარეობა, მათ შორის, დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები).

გთხოვთ, წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების მიხედვით განახლებული სგშ-ის ანგარიში და სტრატეგიული დოკუმენტი. რის შემდგომაც სააგენტო უზრუნველყოფს რეკომენდაციების გაცემის მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/4444-21-2-202505131538